

წიგნი



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/1477

ქ. თბილისი

02 07 2018 წ.

დოქტორანტის დისერტაციის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2018 წლის 31 მაისის (ოქმი №12) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაინიშნოს დოქტორანტ თამარ მამნიაშვილის (პირადი №01027043778), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა – „საჯარო მმართველობა“, სადისერტაციო თემა – „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და მათი გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფის გზები და მექანიზმები“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი გიორგი ბადათურია (სტუ, თავმჯდომარე);
- პროფესორი ალფრედ კურატაშვილი (სტუ, ხელმძღვანელი);
- პროფესორი ოთარ ქოჩორაძე (სტუ, რეცენზენტი);
- პროფესორი ჯემალ გახოკიძე (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, რეცენზენტი);
- პროფესორი ანზორ აბრალავა (სტუ);
- პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი თამარ რევაზიშვილი (სტუ);
- პროფესორი გიმიზერ ალანია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი);
- პროფესორი პოლიკარპე მონიავა (საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, მოწვეული წევრი).

2. დისერტაციის დაცვა შედგეს 2018 წლის 9 ივლისს, 13⁰⁰ საათზე, სტუ-ის VI კორპუსის 105^ა აუდიტორიაში.

რექტორი [ხელმოწერა]

არჩილ ფრანგიშვილი